ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

მ. მ. ადვოკატ ს. მ. წინააღმდეგ

მესამე დისციპლინური კოლეგია:

ცირა შუბითიძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ირაკლი კორძახია - კოლეგიის წევრი

გიორგი ბეგიაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 12.03.2012

საჩივრის რეგისტრაციის № 030/12

გადაწყვეტილების მიღების თარიღი: 07.11.2012

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ს. მ. მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ს. მ. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1. 2012 წლის 3 მარტს მ. მ. მომართა ს.ს.ი.პ. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ს. მ. მიმართ ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2011 წლის 4 თებერვალს მოქალაქე ე. მ შეიძინა უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისში, გოგოლის ქ. #–ში.

1.3. საჩივრის ავტორის განცხადებით, მისთვის უცნობი მიზეზების გამო, აღნიშნულ ქონებაზე წარმოიშვა დავა. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან, როგორც კეთილსინდისიერმა შემძენმა, მოსთხოვა ე. მ. მისი ინტერესების დაცვა. საჩივრის ავტორის განცხადებით, ე. მ. შესთავაზა ადვოკატ ს. მ. რწმუნებულების გაფორმება მისი ინტერესების დაცვის მიზნით. საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი დათანხმდა ე. მ. შეთავაზებას და 2011 წლის 8 თებერვალს ადვოკატ ს. მ. გააფორმა რწმუნებულება.

1.4. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ს. მ. არწმუნებდა, რომ მისი ნასყიდობის ხელშეკრულება არ გაუქმდებოდა, რადგან იგი იყო კეთილსინდისიერი შემძენი. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ს. მ. განუმარტა, რომ მისი მონაწილეობა პროცესში არ იყო საჭირო და თავად მოაგვარებდა ყველაფერს.

1.5. საჩივრის ავტორის განცხადებით, 2012 წლის 5 იანვარს ე. მ. შეიტყო, რომ მის საქმესთან დაკავშირებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ 2011 წლის 24 ოქტომბერს მიიღო გადაწყვეტილება უძრავ ქონებაზე გაფორმებული ყიდვა–გაყიდვის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე.

1.6. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ს. მ. არ მიაწოდა ინფორმაცია 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე, რის გამოც მან გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გაუშვა.

1.7. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ს. მ. გულგრილად მოეკიდა მის საქმეს და მარწმუნებლის საწინააღმდეგო ქმედებები განახორციელა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ ს. მ. განმარტებით, საჩივრის ავტორი და ე. მ. წარმოადგენდნენ მოპასუხე მხარეებს სადავო ქონებაზე გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საქმეში.

2.2 ადვოკატ ს. მ. განმარტებით, საჩივრის ავტორის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ მას მისცა გარანტია მოსალოდნელი სამართლებრივი შედეგების შესახებ, არ შეესაბამება სიმართლეს. ადვოკატის განმარტებით, მან მარწმუნებელს განუმარტა მოსარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობის არსებობის შესახებ და გარანტია შედეგთან დაკავშირებით არ მიუცია.

2.3 ადვოკატ ს. მ. განმარტებით, მ. მ. მიერ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გაშვება მის გამო არ მომხდარა. ადვოკატის განმარტებით, მან არ იცოდა მ. მ. ტელეფონის ნომერი და მისთვის მ. მ. საკონტაქტო ინფორმაცია დღემდე უცნობია. ადვოკატის განმარტებით, მან სარჩელის დაკმაყოფილების, გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობისა და ბაჟის ოდენობის თაობაზე აცნობა ე. მ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოტანის დღესვე. ადვოკატის განმარტებით, ე. მ. განუცხადა, რომ მოიფიქრებდა

გასაჩივრების თაობაზე და შეატყობინებდა. ადვოკატის განმარტებით, მას ე. მ. არ დაკავშირებია.

2.4 2012 წლის 23 ოქტომბრის განხილვის კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატ ს. მ. განმარტებით, მან საქმესთან დაკავშირებით ყველა ინფორმაცია მიაწოდა ე. მ, რომელსაც თავის მხრივ მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა მ. მ.. ადვოკატის განმარტებით, მათ შორის ინფორმაციის მიწოდების ეს ფორმა იყო შეთანხმებული. ადვოკატის განმარტებით, მან მ. მ. ე. მ. მეშვეობით მიაწოდა ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომრის გადაწყვეტილების თაობაზე. ადვოკატის განმარტებით, ე. მ. იღებდა გადაწყვეტილებას სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების თაობაზე, რადგან იგი იყო დაინტერესებული მხარე და ანაზღაურებდა ადვოკატის მომსახურების ხარჯებს. 2012 წლის 23 ოქტომბრის განხილვის სხდომაზე, ადვოკატმა ს. მ. წარმოადგინა შუამდგომლობა ე. მ. მოწმედ დაკითხვის თაობაზე, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ მითითებულ გარემოებებს. 2012 წლის 06 ნოემბრის განხილვის სხდომაზე, ადვოკატმა ს. მ. წარმოადგინა ე. მ. წერილობითი ახსნა-განმარტება მის მიერ წარმოდგენილი პოზიციის დადასტურების მიზნით.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1. 2012 წლის 12 აპრილს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ს. მ. მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ ს. მ. მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი.

3.3. ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა ს. მ. არ მიაწოდა მ. მ. ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე და მ. მ. გაუშვა გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა, ადგილი ექნება ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მისი საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევას.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1. ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1. ადვოკატმა ს. მ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა ე. მ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ე. მ. 2012 წლის 6 ნოემბრის ახსნა-განმარტება, ს/ფ 24
2. ადვოკატ ს. მ. 2012 წლის 21 მარტის ახსნა-განმარტება, ს/ფ 10

4.1.2. ადვოკატმა ს. მ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე არ მიაწოდა ინფორმაცია მ. მ..

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. მ. მ. 2012 წლის 3 მარტის საჩივარი, ს/ფ 2
2. ადვოკატ ს. მ. 2012 წლის 21 მარტის ახსნა-განმარტება, ს/ფ 11

4.2. საქმეში დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

4.2.1. შეთანხმებული იყო თუ არა ადვოკატ ს. მ. და მ. მ. შორის ადვოკატის მიერ ე. მათვის საქმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების წესი.

ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ:

ა) საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა ს. მ. არ მიაწოდა ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე, რის გამოც მან გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გაუშა.

ბ) ადვოკატ ს. მ. განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა ე. მ, რომელსაც თავის მხრივ აღნიშნული ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა მ. მ.. ადვოკატის განმარტებით, მათ შორის ინფორმაციის მიწოდების ეს ფორმა იყო შეთანხმებული.

ეთიკის კომისიის განმარტებით, მხარეებსა და ადვოკატ ს. მ. შორის შეთანხმებული იყო კომუნიკაციის ფორმა, რომლის თანახმად ადვოკატ ს. მ. საქმის თაობაზე ინფორმაცია უნდა მიეწოდებინა ე. მ, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულ ინფორმაციას მიაწვდიდა მ. მ.. აღნიშნული ეთიკის კომისიას დაუდასტურა როგორც ადვოკატმა, ისე ე. მ.. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაციის ე. მ. მიწოდება მიიჩნევა მ. მ. ინფორმაციის მიწოდებად, რადგან ე. მ. უნდა მიეწოდებინა აღნიშნული ინფორმაცია მ. მ.

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს გარემოებას, რომ ადვოკატ ს. მ. და მ. მ. შორის შეთანხმებული იყო კომუნიკაციის ფორმა, რომლის თანახმადაც ადვოკატს უნდა მიეწოდებინა ინფორმაცია ე. მ. საქმის თაობაზე, რომელიც ასევე წარმოადგენდა მ. მ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. მოწმის, ე. მ. 2012 წლის 6 ნოემბრის ახსნა-განმარტება, ს/ფ 24
2. ადვოკატ ს. მ. 2012 წლის 21 მარტის ახსნა-განმარტება, ს/ფ 11

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ს. მ. მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება

6.1. ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ს. მ. მიერ არ არის დარღვეული შემდეგი მუხლები:

ა) „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: „ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

6.2. ადვოკატმა საქმის წარმოებისას კლიენტს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე. კლიენტს უნდა ჰქოდეს სრული და სწორი ინფორმაცია მისი საქმის შესახებ, რათა შეძლოს საქმის მსვლელობის პროცესში გადაწყვეტილებების მიღება. ადვოკატმა უნდა აცნობოს კლიენტს მის საქმესთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე იმგვარად, რომ კლიენტმა არ გაუშვას გადაწყვეტილების გასაჩივრების ხანდაზმულობის ვადა.

6.3. ადვოკატი ვალდებულია საქმის წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია მიაწოდოს უშუალოდ კლიენტს ან ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ კომუნიკაციის ისეთ ფორმაზე, რომელიც უზრუნველყოფს კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდებას.

6.4. ადვოკატსა და კლიენტს შორის კომუნიკაციის შეთანხმებული ფორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილ პრინციპებს. ადვოკატმა კლიენტთან ინფორმაციის მიწოდების ფორმის შეთანხმებისას არ უნდა დაარღვიოს კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის პრინციპი და უნდა უზრუნველყოფდეს კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას მისი ინტერესებიდან გამომდინარე. ადვოკატმა ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ კლიენტთან შეთანხმებული წესით ინფორმაციის მიწოდებისას არ დაარღვიოს მის საქმესთან დაკავშირებით კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება.

6.5. ადვოკატს შეუძლია, ერთსა და იმავე საქმეზე, რამდენიმე კლიენტის ინტერესების თანამოსარჩელეების ან თანამოპასუხეების სახით წარმოდგენისას, კლიენტებთან შეათანხმოს მათთვის ინფორმაციის მიწოდების ფორმა, რაც შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მიერ ერთ-ერთი კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას და აღნიშნული კლიენტის მიერ დანარჩენი პირების ინფორმირებას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მსგავსი სახის ინფორმაციის მიწოდების ფორმა გამოიყენება სასამართლოსა და მხარეებს შორის კომუნიკაციის პროცესში აღნიშნულ ფორმაზე მხარეთა შეთანხმების არსებობისას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 77-ე მუხლის თანახმად, თუ სასამართლოსთან კომუნიკაცია მინდობილი აქვს ერთ-ერთ თანამონაწილეს, სასამართლო უწყებას აბარებს მინდობილ პირს და იგი ვალდებულია ინფორმაცია მიაწოდოს სხვა თანამონაწილეებს. შესაბამისად, ადვოკატის დავალდებულება ინფორმაცია მიაწოდოს თითოეულ კლიენტს იმ პირობებში, როდესაც კლიენტებმა საადვოკატო საქმიანობის დაწყების პროცესში ან შემდგომ თანხმობა გამოხატეს, რომ ადვოკატმა ინფორმაცია მიაწოდოს ერთ-ერთ მათგანს, შეიძლება ზედმეტად დამავალდებულებელი იყოს ადვოკატისათვის. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, კლიენტის ლეგიტიმური ინტერესი თავის საქმის თაობაზე მიიღოს ინფორმაცია დაკმაყოფილებულად უნდა ჩაითვალოს.

6.6. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებაში, საქმეზე #074/10 დაადგინა: „ადვოკატის მოვალეობაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადო მიწოდება გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად."

6.7. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალების საფუძველზე, არ დასტურდება ადვოკატ ს. მ. მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა. განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ს. მ. მიაწოდა ე. მ., როგორც მ. მ. წარმომადგენელს, ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე და მ. მ. მიერ გადაწყვეტილების გაუსაჩივრებლობა არ იყო გამოწვეული ადვოკატის ბრალით. ეთიკის კომისია ვერ იმსჯელებს იმის თაობაზე, მოხდა თუ არა ე. მ. მიერ მ. მ.

ინფორმირება, რადგან ეს არ უკავშირდება ადვოკატ ს. მ. მიერ თავისი პროფესიული ვალდებულებების შესრულების საკითხს.

6.8. ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ს. მ. მ. მ. მიაწოდა ინფორმაცია თბილისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილების თაობაზე აღნიშნული ინფორმაციის ე. მ. მიწოდების გზით, რადგან ადვოკატსა და მხარეებს შორის შეთანხმებული იყო კომუნიკაციის აღნიშნული ფორმა და ე. მ უნდა უზრუნველყო აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება მ. მ.

6.9. ეთიკის კომისიამ ადვოკატ ს. მ. ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის დარღვევა. შესაბამისად, არ არსებობს ადვოკატ ს. მ. მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ს. მ. /სიითი #/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის განმავლობაში.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატს შეუძლია გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ზუბალაშვილების ქ #.32) მისთვის გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ცირა შუბითიძე/

კოლეგიის წევრი: /ირაკლი კორძახია/

კოლეგიის წევრი: /გიორგი ბეგიაშვილი/